ლაპარაკობს რეიმსი

დღეს, 1 დეკემბერს, საფრანგეთის საფეხბურთო დედაქალაქში - რეიმსში შედგება თბილისის "დინამოს" მეორე გამოსვლა. დინამოელთა წინააღმდეგ თამაშობს ფრანგული ფეხბურთის ლიდერი - "სტად დე რეიმსი".

ამ გუნდის ბიოგრაფიას, მის ბრწყინვალე მოთამაშეებს თბილისის სპორტული საზოგადოებრიობა კარგად იცნობს. ესაა ეროვნული ფეხბურთის ბურჯი და ტონის მიმცემი, მის რიგებში იმყოფებიან ნაკრები გუნდის წევრები, საქვეყნოდ განთქმული ფეხბურთელები - რ. კოპა, ჟ. ფონტენი, რ. ჟონკე, რ. ვენსანი, პიანტონი და სხვანი.

დღევანდელ მატჩს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით ფრანგებისათვის. ჯერ ერთი, ფრანგები ვალში არიან ქართველ ფეხბურთელებთან და თუ თბილისელები უწინ თავიანთ მინდორზე უგებდნენ მათ, ახლა ამას დაემატა გამარჯვება პარიზშიც. გარდა ამისა, "რეიმსს" საკუთარი ანგარიშებიც აქვს და ბუნებრივია, ყოველმხრივ შეეცდება თბილისის "დინამოს" სტადიონზე ანგარიშით 2:5 წაგებული მატჩისათვის რევანშის აღებას. მით უმეტეს, რომ მას შემდეგ ფრანგებს შეემატა მათი "ლტოლვილი შვილი" - რ. კოპა, რომელიც მადრიდის "რეალიდან" დაუბრუნდა თავის გუნდს.

გუშინ ჩვენი რედაქცია დაუკავშირდა ქ. რეიმსს სასტუმრო "ლიონდორს", სადაც იმყოფებიან "დინამოს" ფეხბურთელები. ტელეფონთან მოვიდა საქართველოს სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელი ამხ. გ. სიხარულიძე. მან განაცხადა:

უკვე რამდენიმე დღეა ვიმყოფებით რეიმსში. პარიზის შემდეგ აქ თითქოს არაფერმა არ უნდა გაგვაკვირვოს, მაგრამ რეიმსი შესანიშნავი ქალაქი ყოფილა და დაუვიწყარი ღირსშესანიშნაობებიც ჰქონია. დავათვალიერეთ რეიმსის განთქმული ტაძარი, სადაც ოდესღაც ხდებოდა საფრანგეთის მეფეთა კორონაცია. მეფეთა კურთხევა აქ დიდი ხანია აღარ ხდება და ტაძარში ახლა ფეხბურთზე გაცილებით მეტს ლაპარაკობენ, ვიდრე რელიგიურ რიტუალებზე. ყოველ შემთხვევაში, თბილისის დინამოელთა გამოჩენამ ტაძარში დიდი გამოცოცხლება გამოიწვია.

საერთოდ გულწრფელად უნდა ვაღიაროთ, რომ ასეთ შეხვედრას, ასეთ ინტერესს ჩვენს მიმართ არ მოველოდით. საქმე მხოლოდ იმაში არაა, რომ აქ კარგად იციან თბილისის "დინამოს" წლევანდელი გამარჯვებები, მისი სპორტული ძალა. ჩვენ ყველგან გვხვდებიან გულთბილად, სიმპათიით, ღიმილით. ჩვენს გარშემო შექმნილია მეგობრული ატმოსფერო.

საუცხოოა სტადიონი, სადაც უნდა შედგეს 1 დეკემბერს მატჩი. ტრიბუნებზე ეტევა 40 ათასზე მეტი მაყურებელი. საფეხბურთო მინდორს გარს აკრავს ველოტრეკი, ხოლო სათამაშო მინდორი - უმაღლესი ხარისხისაა. მე ჯერ არ მინახავს ასეთი რბილი, ხავერდოვანი ბალახი. მასზე ფეხბურთის კი არა, მაგიდის ჩოგბურთის თამაში შეიძლება. ჩვენმა ფეხბურთელებმა სიამოვნებით ჩაატარეს რამდენიმე ვარჯიში ამ მინდორზე.

მატჩის ბილეთებზე მრავალი შეკვეთაა პარიზიდან. სასტუმროს ადმინისტრაციამ გვითხრა, რომ მრავლად არიან ჩამოსულნი სხვა ქალაქებიდან, პროვინციებიდან, მათი

მიზანია თბილისელთა მატჩზე დასწრება. გარდა ამისა, საწვრთნელ ვარჯიშზე ჩვენ უკვე შევამჩნიეთ ნაცნობი პარიზელი სახეები.

სტუმრად გვეწვივნენ "რეიმსის" ხელმძღვანელები. ეს გუნდი მთელი შემადგენლობით დაესწრო ჩვენს მატჩს "რესინგთან" და, ეტყობა, დინამოელთა თამაშმა მათზე საფუძვლიანი შთაბეჭდილება დატოვა.

საერთოდ, პარიზი და რეიმსი ძველი მტრები არიან ფეხბურთში, მაგრამ ეს შუღლი ამჯერად მივიწყებულია, ვინაიდან იგი რევანშის სურვილმა წაშალა.

რეიმსიდან მივემგზავრებით პარიზში, სადაც 3 დეკემბერს უნდა შევხვდეთ "სტად-ფრანსეს", მაგრამ მოსალოდნელია (ალბათ, "რეიმსთან" მატჩის შედეგის მიხედვით), რომ "სტად-ფრანსეს" ნაცვლად შევხვდებით პარიზის ნაკრებს, ვნახოთ.

ჩვენი გუნდი სრულ წესრიგშია. ფეხბურთელები შესანიშნავად გრძნობენ თავს, შემადგენლობა ისეთივე იქნება, როგორც წინა მატჩში.

ვგრძნობთ თბილისის "დინამოს" გულშემატკივართა მზრუნველობას და ინტერესს ჩვენს მიმართ. ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა საფრანგეთიდან შერცხვენილები არ დავბრუნდეთ შინ.

1 დეკემბერი, 1959 წ.